განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად შემოკლებულ ვარიანტში.
2 საპროექტო ობიექტის მშენებლობისათვის გათვალისწინებული ტერიტორია განთავსებულია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ.

ავტოსამრეცხაოს შენობა ერთსართულიანია. შენობა შესდგება 6 ბოქსისაგან. კონსტრუქციულად შენობა ლითონის კარკასშია გადაწყვეტილი, შემავსებლად გამოყენებულია მინამაგნეზიტის ფილები. სახურავის მასალად გამოიყენება თუნუქის ფურცლები.

<u>ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები</u>:

-ტერიტორიის ფართი----------2555,0 კვ.მ
-მოშენების ფართი----------236,2 კვ.მ
-შენობის საერთო ფართი----------226,6 კვ.მ

3. ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 მიხედვით. ანალოგი –გვ 419, პ 4 თ=10.0 თვე, სადაც 1.0 თვე-მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 2, პ 11-ის მიხედვით თ=10.0+1.0=11.0 თვე. გვ 4, პ 17-ის მიხედვით <u>თ=11X1,15=12 თვე.</u>

4. მოსამზადებელ პერიოდში უნდა განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები: ტერიტორიის შემოღობვა დროებითი ხის ღობით, დროებითი შენობების დაყენება სამშენებლო ტერიტორიაზე, საპროექტო ქსელების გაყვანა, სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი ენერგიით და დროებითი წყლით საპროექტო ქსელებიდან.

5. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით არსებულ შენობასთან. გრუნტის დამუშავებამდე მოხდეს არსებული საჰაერო და მიწისქვეშა ქსელების გადატანა საჭიროების შემთხვევაში. გათვალისწინებული იქნას დამუშავებული მოცულობის გატანა.

6. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მოხდება საავტომობილო ამწე КС-3575А -ის დახმარებით /სამშენებლო მასალების მიწოდება/. ბეტონის მიწოდება გათვალისწინებული იქნას ბეტონის ტუმბოს საშუალებით.

7. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენურ წყაროდ წარმოდგენილია СниП III-4-80*.

8. სამუშაოების დაწყებამდე დამუშავდეს <u>სამუშაოთა წარმოების პროექტი.</u>

Autobetonpumpe M-26 ტექნიკური დახასიათება

1 აწევის სიმაღლე----------25,6 მ
2 შვერა----------22,0 მ
3 ჩაწევის სიღრმე----------16,0 მ
4 მობრუნების კუთხე----------360^0
5 მანქანების ზომები----------2,50X3,85X6,2 მ

საავტომობილო ამწე **KC-3575A**-ს ტექნიკური დახასიათება

1. ისრის სიგრძე----------9,50 მ
2. ისრის შვერა----------2,85-8,60 მ
3. ტვირთამწეობა----------2,00-10,00 ტნ
4. აწევის სიმაღლე----------10,30-1,50 მ